ოლიმპიადა მშობლიურ ენაში

I ტური – მე-11–12 კლასები (შემოდგომა, 2025)

I სავარჯიშო: მორფოლოგია. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

1. **რომელი სიტყვაა არსებითი სახელი?**
   ა) მიირთვა ბ) ცეცხლი გ) კი
2. **რომელი ზმნაა წარსული დროის ფორმით?**
   ა) დაინახა ბ) ხედავს გ) დაინახავს
3. **სიტყვა „გაქცევა“ არის:**
   ა) ზმნა
   ბ) რიცხვითი სახელი
   გ) მოქმედების სახელი (მასდარი)
4. **რომელ შესიტყვებაშია გამოხატული კუთვნილება?**
   ა) პაპის წიგნი ბ) ლამაზი ყვავილი გ) წითელი კაბა
5. **სიტყვა „ასეთი“ არის:**
   ა) ჩვენებითი ნაცვალსახელი
   ბ) არსებითი სახელი
   გ) ზმნა

სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებას!

II სავარჯიშო: სინტაქსი. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

6. **რომელ წინადადებაშია ქვემდებარის განსაზღვრება გამოხატული ზედსართავი სახელით?**
   ა) დიდი კაცი შემოვიდა ოთახში.
   ბ) ბავშვები ეზოში თამაშობდნენ.
   გ) მარიამი გვიან მოვიდა.
7. **წინადადება „შებინდდა.“ არის:**
   ა) მარტივი წინადადება
   ბ) რთული თანწყობილი წინადადება
   გ) რთული ქვეწყობილი წინადადება
8. **რომელ წინადადებაშია გამოტოვებული ქვემდებარე?**
   ა) მიდიოდა ჩქარა და აუღელვებლად.
   ბ) შუშის ჭიქა მაგიდაზე იდო.
   გ) დედა სადილს ამზადებს.
9. **რამდენი მთავარი წევრია წინადადებაში: „დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა.“?**
   ა) შვიდი ბ) არცერთი გ) ორი
10. **რომელი წინადადებაა რთული?**
    ა) ბავშვი ვაშლს ჭამს.
    ბ) ოთახში სიჩუმეა.
    გ) როცა მარიამი მოვიდა, გაკვეთილი უკვე დაწყებული იყო.

III სავარჯიშო: მართლწერა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

11. **რომელი ფორმაა სწორი?**
    ა) ნელ-ნელა ბ) ჩურ ჩური გ) ოც დახუთი

12. რომელი სიტყვაა სწორად დაწერილი?

ა) ერთდროულად ბ) ერთდროულათ გ) ერთ დროულად

13. რომელი ფორმაა სწორი?

ა) გრძელფეხება ბ) გრძელ ფეხება გ) გრძელი ფეხება

14. რომელი ფორმაა სწორი?

ა) ორმოცდა რვა ბ) ორმოცდარვა გ) ორმოც და ცხრამეტი

15. რომელ სიტყვაში <u>არ</u> იწერება დეფისი?

ა) აქეთ-იქით ბ) ერთ-ერთი გ) ბედ-ნიერი

IV სავარჯიშო: პუნქტუაცია. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

16. რომელ წინადადებაშია პუნქტუაციის წესები დაცული?

ა) ლუკა წავიდა ბიბლიოთეკაში გადაწყვიტა, იქ ესწავლა.
ბ) ლუკა წავიდა ბიბლიოთეკაში, გადაწყვიტა, იქ ესწავლა.
გ) ლუკა, წავიდა, ბიბლიოთეკაში გადაწყვიტა იქ ესწავლა.

17. რომელ წინადადებაშია ბრჭყალები სწორად გამოყენებული?

ა) „სახლში“ შევედით.
ბ) მითხრა: „არ მოვალ!“
გ) „შორს“ კოშკი მოჩანდა.

18. რომელ წინადადებაშია მძიმე სწორად დასმული?

ა) მარიამი, სახლში, რომ მივიდა, დედა უკვე წასული იყო.
ბ) მარიამი, სახლში რომ მივიდა, დედა, უკვე წასული იყო.
გ) მარიამი სახლში რომ მივიდა, დედა უკვე წასული იყო.

19. რომელი წინადადებაა პუნქტუაციურად გამართული?

ა) გთხოვ, მალე დაბრუნდი!
ბ) გთხოვ მალე დაბრუნდი.
გ) გთხოვ მალე, დაბრუნდი?

20. რომელი წინადადებაა პუნქტუაციურად გაუმართავი?

ა) წიგნის წაკითხვის შემდეგ დამეხმარე.
ბ) ან წიგნი წაიკითხე, ან დამეხმარე.
გ) ან წიგნი, წაიკითხე, ან, დამეხმარე.

V სავარჯიშო: ლექსიკა და ფრაზეოლოგია. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

21. სიტყვა „განჭვრეტა“ ნიშნავს:

ა) გაბზარვას
ბ) გაბრწყინებას
გ) წინასწარ დანახვას, გააზრებას

22. სიტყვა „მოკრძალებულის“ სინონიმია:

ა) თავმდაბალი ბ) მხიარული გ) გულგრილი

23. რას ნიშნავს „გული მიგრძნობს“?

ა) წინასწარ ვგრძნობ რაღაცას
ბ) გული მტკივა
გ) სიხარული მაქვს

24. გამოთქმა „სიყვარული ბრმაა“ ნიშნავს:

ა) შეყვარებული ადამიანი ნაკლს ვერ ამჩნევს

ბ) სიყვარული დაბნელებული გონებაა

გ) სიყვარული ყველაფერს ართულებს

25. ფრაზეოლოგიზმი „ცხრა მთას იქით“ ნიშნავს:

ა) ძალიან შორს ბ) მთის მწვერვალზე გ) ცხრა დღის სავალზე

VI სავარჯიშო: ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

სვეტიცხოვლის ტაძარი

სვეტიცხოვლის ტაძარი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი საკათედრო ტაძარია. იგი მდებარეობს მცხეთაში, თბილისიდან დაახლოებით 20 კილომეტრის დაშორებით. ტაძარი შუა საუკუნეების მრავალი მეფისა და პატრიარქის დაკრძალვის ადგილია. მას კათოლიკოს-პატრიარქთა აღსაყდრების ადგილადაც მიიჩნევენ.

ტაძრის ისტორიას საფუძველი IV საუკუნეში ჩაეყარა, როდესაც მეფე მირიანმა წმინდა ნინოს რჩევით აქ ეკლესია ააგო. შემდგომ, V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალმა ახალი ბაზილიკა ააშენა. დღევანდელი ტაძარი XI საუკუნეში მელქისედეკ კათოლიკოსის თაოსნობით აშენდა, მშენებელი კი ხუროთმოძღვარი არსუკისძე იყო. ტაძრის მშენებლობა 1010 წელს დაიწყო და 1029 წელს დასრულდა.

სვეტიცხოველი არაერთხელ დაზიანებულა და განახლებულა. 1283 წელს ის მიწისძვრამ დააზიანა, XIV საუკუნეში გუმბათი გიორგი ბრწყინვალემ აღადგინა, ხოლო XV საუკუნეში ალექსანდრე დიდმა კაპიტალური რესტავრაცია ჩაატარა. აღსანიშნავია 1656 წლის რესტავრაციაც, რომელიც როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის ხელმძღვანელობით განხორციელდა.

ტაძარი გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებული. იგი ჯვარგუმბათოვანი ტიპის ნაგებობაა, გუმბათი ოთხ მძლავრ ბოძს ეყრდნობა. საკურთხევლის ორივე მხარეს ორსართულიანი სათავსოებია განლაგებული, გუმბათის ყელში კი 16 სარკმელია, რაც ბუნებრივი შუქის შემოსვლას უზრუნველყოფს.

მიუხედავად იმისა, რომ ფრესკებმა დროთა განმავლობაში სახე იცვალა, სვეტიცხოველი დღესაც ამაყად წარმოაჩენს შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის დიდებულებას. იგი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

26. სად მდებარეობს სვეტიცხოვლის ტაძარი?

ა) თელავში ბ) მცხეთაში გ) გორში

27. რომელ საუკუნეში ააშენა მეფე მირიანმა პირველი ეკლესია სვეტიცხოვლის ადგილას?

ა) IV საუკუნეში ბ) VII საუკუნეში გ) XI საუკუნეში

28. ვინ იყო XI საუკუნის ტაძრის ხუროთმოძღვარი?

ა) პავლე ინჯია ბ) არსუკისძე გ) გიორგი ციციშვილი

29. რამდენი სარკმელია სვეტიცხოვლის გუმბათის ყელში?

ა) 12 ბ) 10 გ) 16

30. რომელ მეფეს უკავშირდება ტაძრის გუმბათის აღდგენა XIV საუკუნეში?

ა) დავით აღმაშენებელს ბ) გიორგი ბრწყინვალეს გ) ვახტანგ VI-ს

31. როდის დასრულდა სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა XI საუკუნეში?

ა) 1010 წელს ბ) 1015 წელს გ) 1029 წელს

32. რომელი მეფის დროს ჩატარდა სვეტიცხოვლის კაპიტალური რესტავრაცია XV საუკუნეში?

ა) ბაგრატ III-ის ბ) ალექსანდრე დიდის გ) ერეკლე II-ის

33. როგორი ტიპის ნაგებობაა სვეტიცხოველი?

ა) ჯვარგუმბათოვანი ბ) წრიული ფორმის გ) სამკუთხა

34. ვინ აღადგინა ტაძარი 1656 წელს?

ა) მეფე ერეკლემ და დედოფალმა დარეჯანმა
ბ) მეფე გიორგიმ და დედოფალმა ქეთევანმა
გ) როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა

35. რა მნიშვნელოვანი როლი აკისრია სვეტიცხოველს საქართველოს ეკლესიაში?

ა) მეფეთა მუზეუმია
ბ) სამრეკლო და საცხოვრებელი კომპლექსია
გ) მთავარი საკათედრო ტაძარი და პატრიარქთა აღსაყდრების ადგილია

100-ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 5-ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

ავერსი AVERSI

36. რომელია სიტყვა „ფარმაციის“ ყველაზე მართებული განმარტება?

ა) ჩამოყალიბება, შედგენა, დაკომპლექტება
ბ) საწარმოო ერთეული, ორგანიზაცია
გ) წამლების დამზადებისა და გაცემის მეცნიერება და პრაქტიკა

სანტე 1997 ლოკო მოკო

37. „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ 1997 წელს თბილისის რძის კომბინატის ..... დაარსდა.

ა) ბაზაზე ბ) ბაზარზე გ) საძირკველზე

38. ცნობილი ქართველი მეიგავეა:

ა) გრიგოლ რობაქიძე
ბ) გურამ რჩეულიშვილი
გ) სულხან-საბა ორბელიანი

39. რას ნიშნავს ანდაზა: „შეჩვეული ჭირი ჯობია შეუჩვეველ ლხინსაო“?

ა) ჯობს, პრობლემები საერთოდ არ გქონდეს
ბ) ნაცნობი სირთულე სჯობს უცნობსა და მოულოდნელ სიხარულს
გ) ჯობს, ახალი გამოცდილება მიიღო

40. რომელი ანდაზა გამოხატავს შრომის მნიშვნელობასა და შედეგს?

ა) ბევრი სტუმარი, ბევრი ძღვენი.
ბ) რასაც დათესავ, იმას მოიმკი.
გ) ხე ყვავილით არ განისჯება.